ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13251203**

თარიღი:**30/04/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების გამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით - თხოვების ფორმით, მომართვის საფუძველზე, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, გადასცეს ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება: ავტომანქანა SKODA ჰეტჩბეკი OCTAVIA (გამოშვების წელი 2010, ფერი რუხი 1/8, სარეგისტრაციო ნომერი IU241II, სატრ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი TMBDX41U5A8854359);
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი